ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

წევრების:

ირაკლი ნადირაძის, მარიკა დათუკიშვილის, ნიკოლოზ ვაჩეიშვილის, ლილე ლიპარტელიანის, ლევან ხაბეიშვილის

მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენისა და

ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის

ოქმი

თბილისი **27 ოქტომბერი 2019 წ.**

ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრას ესწრებოდნენ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები:

ირაკლი ნადირაძე, მარიკა დათუკიშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ლილე ლიპარტელიანი, ლევან ხაბეიშვილი

შეხვედრას უძღვებოდა ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე.

ირაკლი ნადირაძემ საჯარო შეხვედრის მომაწილე ამომრჩევლებს გააცნო მისი როგორც საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია.

ამომრჩევლებს ასევე წარუდგენენ მარიკა დათუკიშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ლილე ლიპარტელიანი და ლევან ხაბეიშვილი, მათ მიერ განხორციელდა ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი, როგორც საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილი ანგარიშის კონსოლიდირებული ვერსია დანართის სახით ერთვის წინამდებარე ოქმს (შვიდი ფურცელი).

საკრებულოს წევრებმა უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს.

საჯარო შეხვედრის წარმართველი/პასუხისმგებელი პირი

ირაკლი ნადირაძე

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენისა და
ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის ოქმის
დანართი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

წევრების:

ირაკლი ნადირაძის

მარიკა დათუკიშვილის

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის

ლილე ლიპარტელიანის

ლევან ხაბეიშვილის

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

2019 წ.

27 ოქტომბერი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პარტიული სიით არჩეული წევრების მიერ შექმნილია **ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''** შემდეგი შემადგენლობით:

1. **ირაკლი ნადირაძე** - ფრაქციის თავმჯდომარე;
2. **მარიკა დათუკიშვილი** -ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ლევან ხაბეიშვილი;**
4. **ლილე ლიპარტელიანი;**
5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი;**

ფრაქციის წევრები გაერთიანებულნი არიან საკრებულოს შემდეგ კომისიებში:

1. **ირაკლი ნადირაძე**
   - სატრანსპორტო საკითხთა კომისია
   - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2. **მარიკა დათუკიშვილი**
   - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
   - ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

3. **ლევან ხაბეიშვილი**
   - სარევიზიო კომისია
   - გარემოს დაცვის კომისია

4. **ლილე ლიპარტელიანი**
   - ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია
   - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი**
   - განათლებისა და კულტურის კომისია
   - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

2019 წლის განმავლობაში ფრაქციამ ჩაატარა 15 სხდომა.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ფრაქციის წევრებმა მერს წარუდგინეს ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი წინადადები:

თქვენს მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი (ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა 871 631,5 ათასი ლარი), არსებული წლიური ინფლაციის დონის, გაზრდილი ფასებისა და გამწვავებული ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების ფონზე ვერ შეძლებს უპასუხოს თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე მდგომ პრობლემებს, შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტის მოცულობა უნდა გაიზარდოს არანაკლებ 130 000,0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა ძირითადად უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობასთან და პარლამენტთან მოლაპარაკებების გზით, ტრანსფერების ზრდის ხარჯზე[.

- შრომის ანაზღაურების მუხლი 85 926,4 ათასი ლარის ნაცვლად უნდა დაუბრუნდეს 2014 წლამდე არსებულ ნიშნულს - 47 425,8 ათას ლარს (2013 წლის ფაქტიური შესრულების მიხედვით), რაც ნიშნავს არსებული სტრუქტურის და შტატების ოპტიმიზაციას და შრომის ანაზღაურების არაგონივრულად გაცემის მავნე პრაქტიკის დასრულებას. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ თანხაში, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ სსიპ-ების და ააიპ-ების შრომის ანაზღაურება, რომლის ბიუჯეტში ასახვაც შესაბამის მუხლში 2016 წლიდან დაიწყო. გამომდინარე იქიდან, რომ „ქართული ოცნების" მხრიდან ხელისუფლებაში მოსვლამდე მუდმივად ხდებოდა აპელირება, თბილისის ბიუჯეტში შტატების და შრომის ანაზღაურების 20-30%-იან ხელოვნურ ზრდაზე, ვფიქრობთ, რომ ამ შეთავაზების ფარგლებში შეძლებთ იმდროინდელი პირობის შესრულებას და თბილისელების საჭიროებებისთვის, მხოლოდ ამ გზით 40 მილიონ ლარზე მეტის დაზოგვას;

- უნდა მოხდეს შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობრივი და შრომის ანაზღაურების ოპტიმიზაცია, ასევე მერიის ბიუროკრატიისთვის განკუთვნილი მანქანების, საწვავის, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯების შემცირება - არანაკლებ 12 მილიონი ლარისა;

- თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ და მიზნობრივად, მხოლოდ გადაუდებელი და საგანგებო სიტუაციებისთვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

- აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან და ინვესტორებთან აქტიური მუშაობა დამატებითი თანხების მოზიდვის კუთხით, რომელიც საშუალებას მოგვცემს თბილისში განხორციელდეს მსხვილი ინფრასტრუქტურული მეგაპროექტები და ასევე დასრულდეს შეჩერებული პროექტები, მათ შორის შემოვლითი რკინიგზის პროექტი;

- თბილისში არსებული მწვავე სოციალური, ინფრასტრუქტურული თუ ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით „ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მოვითხოვთ 2019 წლის ბიუჯეტში გათვალიწინებულ იქნას თანხები შემდეგი პროგრამების დასაფინანსებლად:

1. **კომუნალური ვაუჩერი საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებს** -
   მოგეხსენებათ, რომ ხელისუფლებაში მოსვლმდე „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი დაპირება (ბევრ სხვა დაპირებასთან ერთად) სწორედ ტარიფების შემცირება და განახევრება იყო. თუმცა, ისევე როგორც ბევრი სხვა დაპირება ეს დაპირებაც, დაპირებად დარჩა. გაუფასურებული ლარის და შემცირებული შემოსავლების, გაზრდილის ფასების და გადასახადების ფონზე, დღეს მოსახლეობა საჭიროებს თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის გვერდში დგომას და დახმარებას მთელი რიგი მიმართულებებით.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ადგილობრივ ხელისუფლებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, დიფერენციაციის გარეშე, დაახლოებით 380 000 ოჯახი იღებდა ყოველთვიურ კომუნალურ ვაუჩერს ჯამში 100 ლარის ოდენობით (5 თვე X 20 ლარი), რაც ზამთრის ცივ თვეებში მათთვის ნამდვილად შეღავათი იყო. დღეს ამ პროგრამის დაფინანსებიდან დარჩა მხოლოდ 0-70 000 ქულამდე სოციალურად დაუცველები, რომლებიც იღებენ 5 თვის განმავლობაში არაუმეტეს 106 ლარს და ასევე სოციალურად დაუცველები 70 001 ქულიდან 200 000 ქულამდე - 5 თვის განმავლობაში არაუმეტეს 20 ლარისა. ჩვენ ამ ინიციატივით მოვითხოვთ:

- **სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფი ოჯახები სარეიტინგო ქულებით 0-დან 70 000 - დაფინანსდნენ 5 თვის განმავლობაში თვეში 110 ლარის ოდენობით.**
- **70 001-ქულიდან 200 000 ქულამდე - 5 თვის განმავლობაში თვეში 40 ლარის ოდენობით.**
- **სოციალურად დაუცველთა ბაზაში არ მყოფი ყველა ის მოქალაქე, რომელთა ოჯახის წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს - 5 თვის განმავლობაში თვეში 30 ლარის ოდენობით.**

კომუნალური ვაუჩერის მოქმედება უნდა გავრცელდეს დენის, წყლის, დასუფთავების და გაზის გადასახადებზე - ქველიმიტების გარეშე.

აღნიშნული ინიციატივის დასაფინანსებლად დამატებით გამოსაყოფი იქნება დაახლოებით 40 მილიონი ლარი (0-70 000 ქულა- 24 000 აბონენტი X 5 თვე X 110 ლარი; 70 001 – 200 000 ქულა - 22 000 აბონენტი X 5 თვე X 40 ლარი; არა სოციალურად დაუცველი ოჯახები (მოქმედი აბონენტები), რომელთა წლიური შემოსავალი ნაკლებია 40 000 ლარზე - 210 000 აბონენტი X 5 თვე X 30 ლარი;)

2. **200-ლარიანი წამლების ვაუჩერი პენსიონერებს** - მიუხედავად „ქართული ოცნების“ დაპირებებისა, რომ პენსია უნდა ყოფილიყო „ღირსეული“ და უნდა მომხდარიყო მისი მკვეთრი ზრდა, ფაქტია დღეს არსებული პენსიის მსყიდველობითი უნარი, რომელიც ბოლო წლებია არ გაზრდილა არცერთი თეთრით, ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე თუნდაც 2012 წლამდე. ფაქტია, რომ ყველა მონაცემის მიხედვით (მათ შორის სტატისტიკის ეროვნული სამსახური) წინა წელთან შედარებით ფასები გაზრდილია თითქმის ყველა პროდუქტსა თუ მედიკამენტზე, მათ შორის პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე, მაშინ როცა ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების 70 პროცენტი მედიკამენტებზე მოდის და უკიდურესად ღარიბ ოჯახებში ეს მაჩვენებელი 92%-ია. როდესაც დღეს საყოველთაო ჯანდაცვა ფაქტიურად საყოველთაო აღარაა და მხოლოდ ქრონიკული დაავადებების მქონე სამკურნალო მედიკამენტებს აფინანსებს, ვფქირობთ, რომ პენსიონერებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ წამლების ვაუჩერის დაფინანსება, რომელიც ცოტათი მაინც შეამსუბუქებს მათ მდგომარეობას და ხარჯებს. აღნიშნული ინიციატივის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან დამატებით გამოსაყოფი იქნება 42 მილიონი ლარი (210 000 პენსიონერი X 200 ლარი);

3. **უფასო სასადილოების დაფინანსების გაზრდა 3-ჯერ** - ფაქტია, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს სასადილოების დაფინანსება და იქ არსებული ვითარება. დღეს, ნამდვილად წარმოუდგენელი და არაადეკვატურია ადამიანების გამოკვება დადგენილი კალორაჟითა და სტანდარტებით 1.18 ლარად. გარდა იმისა, რომ დღეს სასადილოებში დადის დაახლოებით 40 000 ბენეფიციარი, რიგში მყოფთა (მომლოდინეთა) რაოდენობა დღეის

მდომარეობით 7 000 კაცზე მეტია. სწორედ ამიტომ მივიჩნევთ, რომ საჭიროა უფასო სასადილოების დაფინანსების 3-ჯერ ზრდა არსებულთან შედარებით, რაც მომავალი წლის ბიუჯეტიდან დამატებით 33 მილიონის გამოყოფას მოითხოვს;

4. **სტუდენტების უფასო მგზავრობა (M2, M3 - მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი)** - დღეს თბილისში სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე ათასია, ფაქტია, რომ ლარის გაუფასურება და გაჭირვების ზრდა ყველა სფეროზე აისახება და დღეს ძალიან ბევრი ოჯახის საფიქრალი თვიდან თვემდე თავის გატანა და ყოველდღიურად სახლში ელემენტარული ლუკმა-პურის მიტანაა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები დღეს მგზავრობის შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობენ M3- კატეგორიაზე, სამწუხარო რეალობაა მაგრამ ფაქტია, რომ მშობლებიც და სტუდენტებიც ხშირად დგანან იმ პრობლემის წინაშე, როდესაც უსახსრობის გამო მაინც ვერ ახერხებენ თუნდაც იმ შეღავათიანი ტარიფისთვის საჭირო მგზავრობის თანხის შეგროვებას და სასწავლებელში წასვლას. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაცია თუ ოჯახში ერთდროულად 2 ან მეტი სტუდენტია. სწორედ ამიტომ მოვითხოვთ სტუდენტებისთვის მგზავრობა გახდეს უფასო (M2 და M3 კატეგორიებზე - მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი), რისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით გამოსაყოფი იქნება 17 მილიონი ლარი;

5. **ინფრასტრუქტურისა და ეკოლოგიის ხარჯების ზრდა 50 მლნ ლარით** - ფაქტია, რომ დედაქალაქში ინფრასტრუქტურის და ეკოლოგიის მიმართულებით უამრავი მწვავე პრობლემაა: მოსაწესრიგებელია საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ავარიული კორპუსები და ძველი თბილისის ისტორიული ძეგლები, სანიაღვრე და გარე განათების სისტემები, საფეხმავლო და შშმ პირთა ინფრასტრუქტურა, მოსაწყობი და მოსაწესრიგებელია ახალი პარკები, სკვერები, მწვანე სივრცეები, გასაუმჯობესებელია დასუფთავების სერვისი და სხვა. სწორედ ამიტომ, მოვითხოვთ რომ ინფრასტრუქტურისა და ეკოლოგიის ხარჯების დაფინანსება 2019 წლის ბიუჯეტში მოქმედ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდოს არანაკლებ 50 მლნ ლარით.

ამასთანავე ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებულია ბიუჯეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დაფინანსების შემცირების ფონზე წარმომადგენლობითი ხარჯების და შრომის ანაზღაურების მუხლის ზრდა. თუ მერია მაინც ფიქრობს, რომ აღნიშნული რესურსი თბილისის ბიუჯეტს გააჩნია, ეს ზრდა უნდა შეეხოს მძღოლებს, მემანქანეებს, მეეზოვეებს, თბილსერვის ჯგუფსა და სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულ ტექნიკურ პერსონალს და საბავშვო ბაგა-ბაღებში მომუშავე აღმზრდელებს და რიგით თანამშრომლებს.

ფრაქციის წევრების მიერ, ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში, საბიუჯეტო დაწესებულებებში გაიგზავნა 290-ზე მეტი წერილი.

2019 წლის 21 იანვარს, ფრაქციის სხდომაზე, რომლის დღის წესრიგი იყო: დიდ დიღომში, ავთანდილის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის (სადაც აირის სავარაუდო გაჟონვით მოხდა აფეთქება) ექსპლუატაციაში მიღებისა და სამშენებლო კანონმდებლობით დადგენილ წესებთან და სამშენებლო ნებართვასთან აღნიშნული შენობა-ნაგებობის მშენებლობის შესაბამისობის საკითხები, მოწვეული იყო მუნიციპალურ ინსპექციის უფროსი გიორგი ბაგრატიონი.

2019 წლის 11 ივნისს, ფრაქციის სხდომაზე მოწვეული იყო თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის მიზნით.

გარდა საკრებულოს სხდომების, საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისა ფრაქციის წევრების მიერ გამოიყენება მოქალაქეებთან როგორც

საკრებულოში, ასევე საკრებულოს გარეთ, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნებში შეხვედრის პრაქტიკა. ამ ფორმით ხორციელდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ამომრჩევლების ინფორმირება ფრაქციის, მუნიციპალიტეტის ორგანოების, საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაობაზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე, ამგვარი ღონისძიება ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფას.

საკრებულოს წევრების მიერ აქტიურად გამოიყენება ამომრჩეველთა შეტყობინების საფუძველზე შემთხვევის ადგილზე გასვლის პრაქტიკა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მდგომარეობის და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მოქალაქეთა უფლებების შესწავლის მიზნით.

ფრაქციის წევრთა მუშაობის საჯაროობის უზრუნველსაყოფად ხშირად გამოიყენება ბრიფინგები და სოციალური ქსელები, შეხვედრის ადგილებიდან პირდაპირი ეთერის ჩართვის გზით.

ტაქსების რეგულაციასთან დაკავშირებით ფრაქციამ საინიციატივო წინადადება წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

> საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში'' შეტანილი ცვლილების მიხედვით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით -ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის მოქმედების ვადას, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს.
>
> აღნიშნული ნორმის საფუძველზე
> განხორციელდა ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტ ომობილით ტაქსით (M1კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის
> მქონეპირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ'' ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის
> საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის № 24-80 დადგენილების მიღება.
>
> ტაქსების რეფორმის უმთავრესი კომპონენტი უნდა იყოს მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი იმ მოქალაქეების ინტერესების დაცვა, რომლებიც ტაქსით მგზავრების გადაყვანით ცდილობენ საარსებო პირობების უზრუნველყოფას, მგზავრების უსაფრთხოების დაცვის პრინციპებთან ერთობლიობაში. ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ფერის და ვიზუალის გამო ავტომობილებზე ნებართვის მიღებაზე აკრძალვა არ წარმოადგენს არც ტაქსის მძღოლების და არც მგზავრების უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის უზრუნველმყოფელ ღონისძიებას, თუმცა ამავდროულად ახდენს ფერის და ვიზუალის გამო აკრძალვას დაქვემდებარებული ავტომობილების მძღოლების შემოსავლების ხელოვნურ შემცირებას და დღევანდელ მდგომარეობაში სრულიად არასაჭირო და ამასთანავე მავნე რეგულაციას წარმოადგენს. ცნობილია, რომ მძღოლების უმრავლესობას სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოუხდენია ავტომობილების გადაღებვა.

მუნიციპალიტეტის მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის ხელოვნური დამძიმება. ტაქსით მგზავრების გადაყვანა ცხადია საჭიროებს რეფორმას, მაგრამ არააბაზრიდან ინდივიდუალურად დასაქმებული მძღოლების გაძევების ხარჯზე.

რეფორმა უნდა განხორციელდეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის, მოქალაქეთა დასაქმების პრობლემების მხედველობაში მიღებით.

მოგმართავთ თხოვნით,
უზრუნველყოთ ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე
პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ'' ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის № 24-80 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით შესაბამისი პროცედურების დაწყება.

ფრაქცია ამჟამად მუშაობს თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი წინადადებების მომზადებაზე, რომელიც სათანადო წესით იქნება წარდგენილი. ფრაქცია აგრძელებს აქტიურ მუშაობას, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული მუნიციპალიტეტის ორგანოების მუშაობაზე, თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვაზე, მოქალაქეთა ინტერესების დაცვაზე.